



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1292
11/07/2018

ქალაქი ბათუმი

1292-05-4-201807111721



სოფიო მურვანიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 3 სამუშაო დღის მიცემისა და მზევინარ გათენაძეზე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსზე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სოფიო მურვანიძის 2018 წლის 11 ივლისის №1960-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. სოფიო მურვანიძეს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 3 სამუშაო დღე, 2018 წლის 11 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით.

2. მზევინარ გათენაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსს დაეკისროს ამავე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შესრულება, ამ თანამდებობაზე მომუშავე სოფიო მურვანიძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 11 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა